

ახალი

„მედნიერია ის, ვისაჯ
სამშობლოსათვის უძვერს გული..“

ჭანიადი



ჭანიადი

85 წელი
თქვენთან
ერთად!

ელფოსტა

2016 წელი 29 ივლისი № 7 № 8112



AxaliGantiadi@gmail.com



მიკრობრანები მთის განვითარებისათვის

გვ2.



საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით

გვ3.



ინფრასტრუქტურული სამუშაოები

გვ2.



სანიღვრა არხის მოწყობა

გვ2.



გარეგანათების სამუშაოები ბრძელბა

გვ2.



მოსამზადებელი სამუშაოების შედეგ

გვ2.



14 ივლისს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155 წელი უნგრულდა

“ვიცანი, ღმერთო სამყარო”



ჩის გაყიდვას „გერმების ყბანში.. რას ყიდოვ ერთი წათხოვარი

გვ2.

ინსტალში

ქართული

ქართული ელტოზის რაცყვისაღმი მიძღვნისილი

გვ5.

განახლებული აქსოვისია...

გვ3.



ახსნელი, უცნაუბი



ქართული “მრავალუამიერი” და “კალოსპირული”

გვ2.



ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დათვალიერებს



შიდა ქართლის მხარეში გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი და მესამე საბავშვო ბაღებს, 600 კაცზე გათვლილ თანამედროვე სტან-



ბელმა იოსებ ოქრომელიძემ და მისმა მოადგილემ ამირან შავშიშვილმა ადგილობრივი ხელისუფლებ-



ის წარმომადგენლებთან ერთად ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს. ისინი კასპის პირველ, მე-



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სიპი მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბიზნეს განვითარების მრჩეველმა ირინა გიორგიძემ შეხვედრა გამართა. ირინა გიორგიძემ ისაუბრა მაღალმთიან რეგიონში ბიზნესის წამოწყების მსურველები, თუ როგორ უნდა ჩაერთონ სახელმწიფო პროგრამაში "მიკროგრანტები მთის განვითარებისათვის".

2016 წლის 27 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით, საქართველოს მოქალაქეებს 18 წლიდან უფლება ჰქონდათ შეეცნოთ ბიზნეს იდეის

მიკროგრანტები მთის განვითარებისათვის



განცხადება ვებგვერდზე www.qartuli.ge და კონკურსში გამარჯვების შემდეგ მიიღებენ 5 000 - დან 15 000 ლარამდე თანადაფინანსებას. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "კასპის კეთილმოწყობა" სოფელ თელადგორში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს. სამუშაოების ღირებულება 11 998

სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები

ლარია და მასზე ადგილობრივი მოსახლეობა არის დასაკმაყოფილებელი. სანიაღვრე არხი რკინა-ბეტონის ღარებით



და ცხაურით ეწყობა, რომელიც უხვი ნალექის დროს წყალს დაუბრკოლებლად გაატარებს და გზას დატბორვისგან დაიცავს - აღნიშნა წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულში კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ესტატე აბუ-ლაძემ.



გარეგანათების სამუშაოები გრძელდება

ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ლიკანი 2000" კასპის მუნიციპალიტეტის 17 სოფლის 30 უბანში გარეგანათების მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს. კომპანიამ სამუშაოები რამდენიმე სოფელში უკვე დაასრულა.

გარეგანათების



მოწყობაზე 104 775 ლარი დაიხარჯება და მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს დასრულდება. გარეგანათების მოწყობის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ვგეგმავთ, შესაბამისად პროექტიც ვაგრძელებთ, რათა სამუშაოებმა ყველა სოფელი მოიცვას - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიაშვილმა.




„სხალი გზნთიარაი..“ იძებს წინცერჩილსო სურათიებს წიხონის სავსებ-თო თოცო-მავციანის შიქსაქმნილთა. თხოვნით მივმართავთ თანწიხონილოებს - რაცთოვით თქვინი ყვაროი სვიწნ მავციანეში! გავმოგვიგზავნით წინცერჩილსო რა სხალილსო თოცოვები!

გზნით სვიწნი მვითხვილო!

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით



ლარი დაიხარჯება - აღნიშნა შ.პ.ს. "შენებელი"-ს დირექტორმა ირაკლი დონგუზაშვილმა. ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლისთვისაც საქართველოს მთავრობამ 3 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება და 10 სოფლის 11 000-ზე მეტ ადამიანს არსებულ პრობლემას მოუგვარებს.



საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით კასპის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში ხვითსა და ბოჟაში წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო - სარე-

აბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ორივე სოფელში 200 გრძივი მეტრის სიღრმეზე მოეწყობა ჭაბურღილი, დამონტაჟდება ორმოცდაათტონიანი რეზერვუარი და აშენდება საქლორატორი. აღნიშნულ სამუშაოებზე 600 000 - მდე

მოსამზადებელი სამუშაოების შედეგ



კასპში, პაატას ქუჩაზე მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩის მოას-

შეუხმობა კვლავ

აქსნელი, უცნაური


სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ვხდებით. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ...

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ

მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.



მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი.“ საჭიროების შემთხვევაში



შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს“, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხ-



ვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე. გამოგვცხადებთ!

განახლებული ექსპოზიცია...

შარშან, კასპის დღესასწაულზე დიდი ხნის ლოდინის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიისა და შუასაუკუნეების დარბაზის განახლებული, მუდმივმოქმედი ექსპოზიცია...

მართებული იქნება, თუ ამ "ისტორიულ" დღეზე საუბარს

ფიანიძე, მისი თანამემწე გიორგი ლალიძე და ეროვნული მუზეუმის ინიციატივით სპეციალურად მოწვეული იარაღის რესტავრატორი ამირან ბიჭაშვილი, რომლებმაც რამდენიმე თვის განმავლობაში სრულიად უანგაროდ, უშურველად იმუშავეს იმისათვის, რომ კასპის მუზეუმში დაცული მე-17 საუკუნისდროინდელი საბრძოლო მასალა



საგულისხმო წილსვლით დავიწყებთ, - გვიამბობს მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩაღუნელი, - საქმის გახლავთ, რომ ჩვენი მუზეუმის დირექციამ და მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებამ ერთობლივი წერილით მიმართა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს ბატონ დავით ლორთქიფანიძეს, რათა დაგვხმარებოდა კასპის მუზეუმის ფონდებში დაცული შუასაუკუნეების უნიკალური ქართული სა-

გაეწმინდათ და აღედგინათ თანამედროვე სტანდარტებით.

შემდეგი ეტაპი გახლდათ დარბაზის მომზადება, სადაც უნდა გამოფენილიყო ეს უაღრესად საინტერესო, უკვე აღდგენილი და გაკეთილშობილებული ექსპოზიცია, რომლის გახსნას ორათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ელოდა კასპელი და არა მხოლოდ აქაური დამთავალიერებელი. რა თქმა უნდა, ექსპოზიციის გახსნამდე საგულდაგულოდ მომზადდა საგამოფენო ინვენტარი



ბრძოლო იარაღებისა და საჭურავლის (ხეცსურული ჯაჭვის პერანგი, ჩაჩქანი, სამკლაურები, რკინის თათის ხე.) გაწმენდითი, რესტავრაციისა და აგრეთვე, პასპორტიზაციისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელებაში.

კარაძეები, ვიტრინები, მინის ხუფები, მოხერხებული სადგამები/. აქვე მინდა აღვნიშნო კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გონა გოჩიტაშვილის მიერ გამოჩენილი უდიდესი გულისხმიერება, მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი თანადგომა, რათა ეს საშვილიშვილო საქმე ორგანიზებულად და დროულად დასრულებულიყო. სამუშაოების სწორად და სწრაფად შესრულების უზრუნველსაყოფად პირადად იზრუნა მუნიციპალიტეტის

ერთი სიტყვით, გასული წლის დასაწყისში ეროვნული მუზეუმის ხელშეწყობითა და ორგანიზებით კასპში მოვიდნენ ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდის უფროსი კურატორი მამუკა ქა-

*დასასრული გვ7.

“ვიცანი, ღმერთო სამყარო”



საქართველოს ერთ-ერთ მთიანეთში, სადაც გარემო ისევე მშვენიერი და იგავიუწვდომელია, როგორც, ალბათ, სამოთხეში, უძველესი ქართველები – ფშავლები ანუ ფხოველები სახლობენ – ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა პომპეუსმა აქ ურიცხვი ჯარით გამოიარა. ქვეყნის კარის მცველად დაყენებულმა ფხოველებმა რომლებიც მტერს ანაწურში დაუხვდნენ და გზა შეუკრეს, პომპეუსი ფრიად განაკვირვებს ხელმარჯველობით, ახოვნებით, ფარისა და ხმლის უცხოდ ხმარებით.

XIX საუკუნეში, ასორმოცდახუთი წლის წინათ, როცა ამ ხალხის ყოფიერების არსი და ცივილური საფეხური დიდად არ გასცილებოდა იმას, რაც სტრაბონმა აღწერა, დაბადა ადამიანი, რომელიც ნეტარი ავგუსტინესავით ცდილობდა პასუხი გაეცა კითხვას: “რა არის ღმერთი?” მასავით ეკითხებოდა მიწას, ცას, მზეს, ვარსკვლავებს და სურდა ყველგან ეპოვა იგი. ეპოვა უფალი იქ და მათში, სადაც იგი უხილავი იყო... და ამ გენიოსს, ისევე როგორც ნეტარ ავგუსტინეს, ყველაფერი აძლევდა პასუხს: “ჩვენ მან შეგვექმნა.” როცა სიცოცხლის არსში წვდომა შეეძლო იქცეოდა, პოეტი აღფრთოვანებით იტყობდა:

“ვიცანი, ღმერთო, სამყარო,

ეს შენი დანაბადები.”

ვაჟა-ფშაველა შეიძლება, ანტიკური ხანის ტრაგიკოსი პოეტი და მოაზროვნე ყოფილიყო – ნატიფი, აღნავი, მოხდენილი მხრებით, ძლიერად გამჭოლი და ნათელი თვალებით. ანდა, XXXII საუკუნეში ეცხოვრა თავისი შეურყენელი იერსახითა და ხნობით, დაეწერა ის, რასაც წერდა და იქაც გენიოსი იქნებოდა, რადგან მის შემოქმედებაში განფენილი მისტიკისა და უნიკალური სახეობრივი აზროვნების გასაღები სწორედ სამყაროს გასაღებს წააგავს. ვაჟა-ფშაველას ნებისმიერი დიდი ნაწარმოები შეიძლება წარსულშიც გადაისროლო და მომავალშიც, იმიტომ, რომ მათ ერთგვარი უდროობის, ანუ მარადისობის ბეჭედი ახის.

როცა დედა ორსულად იყო და ლუკა რაზიკაშვილი უნდა დაბადებულყო, ქალმა იშვიათი რამ სიზმარი ნახა: ცა გახსნილიყო, ზეცასა და მიწას შორის კიბე დამდგარიყო, რომლის ბოლო გახსნილ ცაზე იყო მიყუდებული. ამ კიბეზე ადიჩადიოდნენ ანგელოზები და ისეთ მწყობრ ხმაზე მღეროდნენ, როგორის მოსმენაც მხოლოდ ზეცაში შეიძლებოდა. დედის სიზმარში, რომელსაც იგი ხშირად უყვებოდა შვილს, რაღაც იდუმალი, თუმცა წინასწარმეტყველური კოდი ჩაიდო. ეს იყო გაჭრა იმ ჩა-

კეტილი სივრციდან, იმ კოლექტიური საზოგადოებიდან (თემი), სადაც ვაჟას წინაპრები ცხოვრობდნენ და რომლის ორგანულ ნაწილადაც უნდა დაბადებულიყო მისი შვილი. იქნებ, ამ ზეციურ-მიწიერი კიბის გამო, დროისა და სივრცის უცხო განზომილებათა ჭვრეტა ისევე ხელმისაწვდომია ვაჟასთვის, როგორც ყველასათვის – ორგანოზომილებიანი პეიზაჟისა. მას შეეძლო ეთქვა, რომ მთას იყო, იდგა მწვერვალზე, თვალწინ ეფინა ქვეყანა, გულზე ესვენა მზე-მთვარე და ღმერთთან ლაპარაკობდა. თუმცა ეს არ გახლდათ ნიქშეანური უფლებამოსილების გამოხატულება, ეს იყო აღწერა იმ წყალობისა, რაც მას ღმერთმა მიანიჭა. ვაჟას თამამად ევაკრებოდა იმხანად მოღუპი ნიქშე. “ხერხემალგამოცილი ევროპიელ ფილოსოფოსსა და ჩვეულებრივ ნაცარქექიას” ეძახდა. მას სძულდა ზეცა, მაგრამ უყვარდა კაცი – ადამიანი და ყველაფერი, რაც ადამიანად გვხდის. იგი გამსჭვალული იყო ადამიანური წინააღმდეგობების ამოცნობის წადილით, ხიბლავდა ძლიერებისა და უმწეობის, მისტიკურისა და რეალურის, სიყვარულისა და ღალატის, შემწყნარებლობისა და შურისძიების, მშვენიერებისა და სიმანინჯის თანაარსებობა ჩვენს შიგნით. უთუოდ, დიდი ერის შვილი რომ ყოფილიყო, ისევე ეცოდინებოდა ყველა მოკვდავს, როგორც უილაიმ შექსპირი.

“აი, ადამიანი, რომელიც დადის, როგორც მარტორქა.” – ამბობდნენ მის შესახებ ამხანაგები, როცა ვაჟა გორის პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლობდა. ცოდნის წყურვილი ზღაპრის პერსონაჟის მისწრაფებასავით ყოვლისმომცველი იყო მასში. თელავის სასულიერო სემინარიაში, საკლასო ოთახში უადგილობის გამო, იგი ბუხარში იჯდა გაკვეთილების დროს და ერთ-თავად გამურული დადიოდა... უსახსრობის მიუხედავად, მაინც გაემგზავრა პეტერბურგში, მაგრამ უნივერსიტეტში კურსის დასრულება ვერ შეძლო. კაფიებსა და ფოლკლორზე გაზრდილი, იმ კუთხიდან წამოსული ყმაწვილი, სადაც წერაკითხვა თითო-ორილა ადამიანმა თუ იცოდა, კითხულობს ჰომეროსს, დანტეს, შექსპირს, მილტონს, გოეთეს... როგორც დავით კლდიაშვილი იგონებს, მას ამშვენიერებდა თავმდაბლობა და საყვარელ ადამიანად ხდიდა. ვაჟამ გამოარღვია ფხოვის საზღვრები, რათა უფრო კარგად დაეგეღო ყური მსოფლიო მოძრაობისათვის, ხოლო შემდეგ დაბრუნებულყო თუქან და დაფლეთილ ჩოხაში ჩაცმულს მიწა ეხნა მთაში, რადგან სრულიად უმწეო იყო ყოფითი კეთილდღეობის მოწყობის საქმეში.

ვაჟას პოეტურ ხატებში მთელი სამყაროს გასულიერე-

ბა კოსმიურ საზღვრებამდე აღწევს და აქ სულიერთა შორის ყველაზე უფრო სულიერი – ადამიანი, ისეთივე პერსონაჟია, როგორც კლდე, წყარო, გამხმარი ხე ან ყვავილი. იგი ბუნებას აძლევს ისეთ ადამიანურ ხასიათს, რომელიც შეიძლება თავად ადამიანში დაფარული იყოს. მას ძალუქს უსულო საგნებს სული შთაბეროს და აასაუბროს ლოდები კლდისა; თუმცა ბევრი რამ კაცის ნებას ემორჩილება, მაგრამ მაინც “ბუნება მბრძანებელია”. ვაჟასათვის არ არსებობს სამყაროში ორი ისეთი საგანი, რომელთა შორის კავშირის დამყარება არ შეიძლებოდა. მაგალითად, მოჭრილ ხესა და ადამიანის მეტამორფოზს ან მოკლულ ირემსა და ბავშვის დაბადებას შორის. იგი მიელტვის მოვლენათა შორის, ადამიანურ ბედისწერასა და ხასიათს შორის, რეალურ და მიღმიერ სამყაროს ანუ სააქაოსა და საიქიოს შორის დაფარული კავშირების აღმოჩენას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი პარადოქსი ის გახლავთ, რომ XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე, როცა მსოფლიო ლიტერატურული სცენა ივსება ახალი სტილიურ-ჟანრები, მდინარეებით, ვაჟა ეპიკურ პოემას ირჩევს და იქ აღმოაცენებს უძველეს, მაგრამ ამაღროლულად, უახლეს, საკვირველ სურათებსა და გმირებს, რომელთა კეთილშობილი, უსაზღვრო სიძლიერე სისუსტემდე მისულ მგრძობიარობასა და სიფაქიხესთან არის შერწყმული. ჩაკეტილი, შემოსაზღვრული სივრცე ფშავ-ხევსურეთი ვაჟასთან სამყაროს ზოგადი მოდელია, სადაც ადამიანისათვის საჭირო ხდება მისი არსებობის ნიშანდობლივი ღერძის მიგნება და გაშიშვლება. ამ მიგნებებსა და ძიებებშია გაცხადებული დახურული სივრცის მიმართება გარესამყაროსადმი.

არსებობს საყოველთაოდ ცნობილი თეორია დია და დახურული, მდგრადი და მოძრავი, აპოლონიური და დიონისური

კულტურების შესახებ. თუ შევეცდებით ვაჟას მიერ დახატული კულტურა ამ მოდელს მიუხედავად, აღმოჩნდება, რომ ეს გახლავთ გარეგნულად მდგრადი, მაგრამ შინაგანად მსხვერვალი კულტურა, რომელიც ცდილობს გადალახოს მეტაფიზიკური მიჯნები და შეერწყას უცხო სივრცეებს. მინდიაში, რომელიც ქაჯებთან ტყვედ ყოფნისას, გველის ხორცის ჭამამ ბუნების ენის მცოდნედ აქცია, საზღვრების დამრღვევის არქეტიპია ჩაედო. ბუნების საიდუმლოთა ახსნისა და უხილავ სილამაზეთა შესაცნობად ვაჟამ შექმნა გმირი, რომელიც გამოდის ყოფიერების ზოგადი მოდელიდან. იგი გადაინაცვლებს სხვა განზომილებაში, სხვა მცნებათა მორჩილი ხდება. იქ მიუწვდომელი, უმაღლესი და წმინდა კანონებია, მაგრამ მისი ყოფა უბედური და გაუსაძლისია. ორი სივრცის გადაკვეთა, მათი თანხვედრა, შეპირაპირება შეუძლებელი ხდება, რაც მინდიას დაღუპვას განსაზღვრავს. ამ მისტიკური გმირის ხატი, თითქოს კაცობრიობის საოცნებო მომავალს ჰგავს.

ამავე ირეალურ მომავალში შეიძლება ჩაეწეროს გმირად ალუდა ქეთელაურიც, რომელსაც შეუძლია მტრის ვაჟაკობით აღფრთოვანდეს და თავის მიერ მოკლული ადამიანი საბედისწეროდ შეიყვაროს. ამ სიყვარულით იწყება გმირის სვლა უნივერსალური ფასეულობებისაკენ, რომელსაც იგი საკუთარ თავში აღმოაჩენს და რომელთა გამჟღავნებას ქრისტიანული თემის წინაშე არ ერიდება. საყოველთაო რისხვა მას არ აშინებს, რადგანაც უმაღლესი სიმართლის განცდა უფლებას აძლევს არც მკლავი მოსჭრას მტერს და თავის ხატს ურჯულოს შენდობაც შესთხოვოს. მისი მულტიკულტურული ცნობიერება თემში არსებულ კანონებს სცილდება და ალუდას ტრაგიკული შეურყევლობა მის შემდგომ ყოფით ბედისწერასა და სხვა, უმაღლეს ჭეშმარიტებებში თვითდამკვიდრებას განსაზღვრავს.

რატომ სურს კაცს კაცის სისხლი? – კითხვა, რომელიც მულტიკულტურულ უპასუხოდ რჩება. ამის საპირისპიროდ ვაჟა აყენებს უძველეს “ალტერნატივას”, რომელიც მატერიალურ სამყაროში უფრო დამარცხებისთვისაა განწირული – ჩვეულებრივი და ბუნებრივია, რომ კაცს სურდეს, ეს სისხლი არ დაიღვაროს. სიყვარული, რომელიც ერთი შეხედვით უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ, უცნობი მადლის წყალობით ჩნდება და რომელსაც, შეიძლება, მტრის სიყვარული დაარქვას, სინამდვილეში მოყვანის სიყვარულია. მტერი კი, სულაც არ არის მტერი. ვაჟას ერთ-ერთი შედეგური, რომელსაც მეტ-ნაკლებად იცნობენ მსოფლიოში და, რომელიც ახლაც იდგება ოკეანის გაღმა-გამოღმა თეატრებში – “სტუმარ-მასპინძელი”, სწორედ იმ ურთიერთობებზეა, რაც მტრებს შორის წარმოიშვება. ძალაუფლებით მოსილი საზოგადოების მოთხოვნას, სტუმრის მტრად აღიარებისა და კოლექტიური შურისძიების შესახებ, მასპინძელი (ჯოჯოლა) იშვიათი პერიოდით პასუხობს. მუსულმან ჯოჯოლას ქრისტიანი ზვიადურის წინააღმდეგ ამბობებულ თანამომხეთა ქმედების ლოგიკა ვერ გაუგია. ასევე იქცევა მისი მეუღლე ალაზა, რომელიც უმაღლესი ქალურობის – დედაკაცობის ნიშანია ალბეჭდილი. ამ პოემაში არის ერთი ადგილი, რომლის გაგრძელებაზე ვაჟა სამი თვე ფიქრობდა: ალაზას თითქმის შეუყვარდა უცხო კაცი, ალტაცებულია მისი იერსახით, ვაჟაკობით, რომელსაც ეს უკანასკნელი გამოავლენს, როცა თემი მას საფლავზე დააკლავს. ეფგორიდან გამოსული ქალი ქმარს გამოუტყდება, რომ ზვიადური დაიბრია, არ მალავს საკუთარ აღფრთოვანებას და გარდაცვლილის გლოვას. ალბათ, “სტუმარ-მასპინძელი” ისეთი გენიალური არ იქნებოდა, რომ არა ჯოჯოლას პასუხი, რომელიც სამი თვის მუდმივი ფიქრის მერე, მინდორში, მკის დროს მოუვიდა თავში პოეტს. მან დააგდო ცელი და სახლში გაიქცა, რათა პატრიარქალური საზოგადოების შეილის – ჯოჯოლასათვის ეთქმევინებინა: “იტირე? მადლი ექმნია, მე რა გამე ვარ მაგისა, დაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟაკის კარვისა.”

ვაჟა-ფშაველა მულტიკულტურული მსოფლგაგების მხატვარია – როგორც პოეზიასა და პროზაში, ასევე არა მხოლოდ ჩემთვის სამაგიდო პუბლიცისტიკაშიც. მან, ისევე, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანობამ, არ იცის ურჯულო, უცხო, მაგრამ სწამს, რომ “სამშობლო, როგორც მშობელი, ერთია ქვეყანაზედა.” მიაჩნია, რომ “ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი პატრიოტია”, რადგან ადამიანის ღვაწლი, რომელიც “სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისთვის, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის.” ვაჟას წერილი “კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი” მსოფლიოს ყველა ენაზე რომ ითარგმნოს, ერთნაირად მისაღები იქნება ზულუსისთვისაც და ამერიკელისთვისაც...

რა შეიძლება ვუთხრათ უცხოელ მკითხველს, რომელიც ვაჟა-ფშაველას წაკითხვას გადაწყვეტს? რა და – მას ელოდება ბიბლიურის მსგავსი პარადოქსები, სახარებისეული შემწყნარებლობა, გოეთეს დარი სიბრძნე, ბაირონის მასშტაბის მსოფლიო სევდა, შექსპირის ტოლი ვნებები და ხასიათები, ედგარ პოსავით განსაკვირვებელი მისტიკა და ისეთი პოეტურობა, რომელსაც ძნელად თუ მოუძებნი ანალოგს.

მარინა ყიფშიძე.

ისრაელში

ორი კვირით ვიმყოფებოდი ქალთა ჯანმრთელობის დაცვისადმი მიძღვნილ სასწავლო კურსებზე ისრაელში ქ. ჰაიფაში. კურსები ძირითადად მიმდინარეობდა გოლდა მეიერის სახელობის კარმელის სასწავლო ცენტრში. იგი ორგანიზებული იყო ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისრაელის საელჩოს მაშავის ცენტრის მიერ.

კარმელის მთა, სადაც ეს ცენტრი მდებარეობს, მრავალჯერ არის ნახსენები ბიბლიურ სოუჟეტებში. ის ჰაიფაში გადმოჰყურებს ხმელთაშუა ზღვის ლაჟვარდოვან ოქროსფერი ქვიშით დაფარულ სანაპიროს, ულამაზეს ბაჰაის ტაძარსა და სიმწვანეში ჩაძირულ სპარსულ დაკიდებულ ბაღებს.

ცენტრი ატარებს ისრაელის პრემიერ-მინისტრის, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი ქალის გოლდა მეიერის სახელს.

მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან მკაცრი კონკურსის საფუძველზე შეირჩა 24 მონაწილე. პროგრამა იყო უკიდურესად დატვირთული და საინტერესო. ის მოიცავდა ლექციებს, პრაქტიკულ ვორკშოპებს, მონაწილეთა პრეზენტაციებს და მუშაობას სხვადასხვა პროექტებზე, რომელიც დაკავშირებული იყო ქალთა ჯანმრთელობის საკითხებთან. გასვლითი სესიები ეძღვნებოდა ვიზიტებს ისრაელის თითქმის ყველა მხარეში, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, რელიგიური, ეთნიკური თავისებურებებით დასახლებული არელების სამედიცინო დაწესებულებებში.

მაგალითად, ეთნიკურად არაბებით დასახლებულ სოფლებში და უდაბნოში ბედუინთა დასახლებებში. ამ ვიზიტების დროს ჩვენს გვერდით იყვნენ ისრაელის მთავარი სპეციალისტები ქალთა ჯანმრთელობის დარგში, მთავარი პედიატრი.

ცალკე ლექციები მიეძღვნა ისრაელის ისტორიას,

ხალხს, კულტურას, თანამედროვე პოლიტიკას, რომელსაც კითხულობდნენ უნივერსიტეტის პროფესორები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

განსაკუთრებული იყო ის დღე, როდესაც სასწავლო ცენტრში ჩვენთან შესახვედრად მობრძანდა ლიბერის პრეზიდენტი ელენ ჯონსონ ზირლაფი მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებთან ერთად. ეს ქალბატონი არის აფრიკის პირველი ქალი პრეზიდენტი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი.

გვქონდა საქმიანი მიღება იერუსალიმში ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, სადაც სამინისტროს წამყვანი თანამდებობის პირებმა გაგვაცნეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის თავისებურებები, ქალთა ჯანმრთელობის კუთხით არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის მიმართულებები.

ენახეთ შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვადასხვა კრიზისების დროს თუ როგორ ოპერატიულად იმუშავებდა უდიდესი საავადმყოფოები მიწის ქვეშ. ეს ყველაფერი ხდება ძალიან მობილიზებულად, ყოველგვარი უაზრო ფაცი-ფუცისა და ფორიაქის გარეშე. ნებისმიერი დაწესებულების მართვა არის იმდენად მობილიზებული, რომ თითოეულმა თანამშრომელმა იცის მისი ადგილი და როლი ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში.

ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ძალიან მოკლე დროში ებრაელმა ხალხმა უდაბნოში შეძლო აემუნებინა აფხაზებზე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უძლიერესი სამხედრო თავდაცვის მქონე წარმატებული ქვეყანა, სადაც ცხოვრების დონე ძალიან მაღალია და ადამიანებისათვის თვითრეალიზაციის ყველა პირობა შექმნილი, ხოლო მოხუცებულობის პერიოდში მიმდინარეობს მთელი რიგი ღონისძიებები, რაც ასაკოვანი



ადამიანების ცხოვრებას აქტიურსა და საინტერესოს ხდის.

ცხოვრების ხარისხის ამაღლება ამ ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკაა, პატრიოტიზმი, რომელიც საბავშვო ბაღის ასაკიდან სისტემურად ინერგება, მათი ცხოვრების წესია. შეუძლებელია პატივისცემით არ განიმსჯელო იმ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების მიმართ, რომლებსაც სამხედრო ფორმა აცვიათ, ქვეყნის უსაფრთხოებას ემსახურებიან და ამას დიდ პატივად მიიჩნევენ.

რამდენი რამის სწავლა შეიძლება ამ ქვეყნიდან. მათი შრომისმოყვარეობა და პატრიოტიზმი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და წინსვლის სურვილი გამოაგნებელია ჩვენი გადასახედისად.

... და მაინც, ისრაელი მსოფლიოს მრავალი ადამიანისათვის ბიბლიური წმინდა მიწაა. იერუსალიმის ქუჩებში გავლა, ძველი იერუსალიმის გალავნის შიგნით თითოეული ნაბიჯი უდიდესი გრძობისა და ემოციის მატარებელია... იერუსალიმის გარდა, უდაბნოებში ბიბლიურმა ადგილებმა, რომელიც მხოლოდ წარმოსახვაში არსებობდა, ჩემთვის კონკრეტული ხატება შეიძინა.

მიუხედავად ასეთი დატვირთული გრაფიკისა, რომელიც გაწერილი იყო მზის

ქალთა ჯანმრთელობის დაცვისადმი მიძღვნილი

ექიმი ან ქამხაძე ივნისში ორი ხვირით ისრაელში, ქ. ჰაიფაში იმყოფებოდა ქალთა ჯანმრთელობის დაცვისადმი მიძღვნილ სასწავლო კურსებზე. მიღებულ შთაბეჭდილებებზე, განხილულ სახსრებსა და საინტერესო ჰერსპეკტაჟებზე გვესაუბრება ქალბატონი ან ქამხაძე.



ამოსვლიდან მთელი დღის განმავლობაში, საღამოს საათებშიც მიმდინარეობდა ჯგუფური მუშაობა ცალკეულ საკითხებზე და პროექტებზე, რომელიც დავალების სახით გვეძლეოდა. ბოლო დღეს მოხდა ამ პროექტების წარდგინება, რასაც

ილე წარმოადგენდა საკუთარი ქვეყნის, ხალხის სახეს და გარკვეულ რესურსს სახალხო დიპლომატიის განვითარებისა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე.

პროგრამასთან ურთიერთობა არ მთავრდება. ჩვენ



მოჰყვა სერტიფიკატის საზეიმო გადმოცემა. სერტიფიკატების გადმოცემასა და საზეიმო სადილს ესწრებოდნენ ყველა მონაწილე ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის ჩვენი საელჩოს წარმომადგენლობა.

ყოველი ჩვენგანი, ამ კურსების თითოეული მონაწი-

გადმოგვცეს სასწავლო მასალა, საზეიმოდ გვამცნეს, რომ ვართ შალომ კლუბის წევრები, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმუშაოთ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს ჩვენ პიროვნულ განვითარებას, ორგანიზაციის წინსვლას და სიკეთეს მოუტანს ჩვენ საზოგადოებას.

ნელინადის მეხუთე დრო

მუჭბიკა - ნელინადის მეხუთე დროს კლდეზე თქვენს გამოსმაყოფას. მიტმ-ძანლით პელაქ-ციაში. ვაევაწან-ით თქვენი ნამუქაქაქი (ნამ-ჭოაღქინოთ კლდექოონელი კქსია) და ვაა-წანით ისინი სანოეალოქაქს.

საქართველოს ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის (ხელმძღვანელი ზაზა მჟავანაძე) ორგანიზებითა და ხელშეწყობით ქალაქ თბილისში, მოზაიკის სასახლეში ჩატარდა საანგარიშო კონცერტი, სადაც საუკეთესო ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად მიწვეული იყო დავით ჯავრიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა ქორეოგრაფიული სახალხო სანიმუშო ცეკვის აკადემია "დიდგორი".

— თბილისელი მაცურებლის წინაშე "დიდგორის" სამი თაობა /"დიდგორი", "დიდგორი-2 და "დიდგორი-3"/ გამოვიდა და ამჯერადაც წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზანს, — საუბრობს ანსამბლის მთა-

ვარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, — მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ცეკვა "ლაზური" დიდგორელებმა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან მონასელიძეს მიუძღვნეს და გამოჯანმრთელება მიულოცეს. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა, კასპელმა მოცეკვავეებმა მოხიბლეს მთელი აუდიტორია, ისმოდა მოწონებისა და აღფრთოვანების შემახილები.

შემდეგ იყო "დიდგორი-2"-ის გამოსვლა თავისი განუმეორებელი "ქართლ-კახურით", ხოლო კასპელ მოცეკვავეთა კულმინაცია გახლდათ "დიდგორი-3", რომლის პაწაწინა შემსრულებლებმა ფურორი მოახდინეს თბილისელ მაცურე-

მოლქაქივი მიწვეულია საერთაშორისო ფესტივალზე

ანსამბლ „დიდგორის„ კიდევ ერთი წარმატება

ბელზე, იყო საერთო აღფრთოვანება, სცენიდან აღარ უშვებდნენ გაბრწყინებულ გოგო-ბიჭებს... წლის საანგარიშო კონცერტი კასპელთა შესრულებულმა "ჩქნურმა" დახურა, ცეკვა მაცურებლის აპლოდისმენტების თანხლებით მიმდინარეობდა, გამოსვლის დასრულების შემდეგ მოცეკვავეები სცენაზე დატოვეს, ღონისძიების ორგანიზატორმა ზაზა მჟავანაძემ და ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენელმა ოლეგ

ალავიძემ ანსამბლის ხელმძღვანელებს /ქორეოგრაფები და რინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი/ სცენაზე უხმეს და საანგარიშო კონცერტზე წარმატებული გამოხვლისათვის ანსამბლის მოცეკვავეებს გადაეცათ სახელობითი დიპლომები. ცნობილი გახდა ისიც, რომ "დიდგორი", როგორც საუკეთესო ქორეოგრაფიული კოლექტივი აგვისტოში მიწვეულია საერთაშორისო ფესტივალზე ჩეხეთის რესპუბლიკაში.

„სხვილთს,, მიენიჭა საპაფითო წიღებმა ...

ქვემო ჭაღის კულტურის სახლში ჩატარდა ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სხვილთს“ შემოქმედებითი საღამო – „ცეკვის ზეიმი“... ამ ღამეზე, შინაარსიანი ღონისძიების ორგანიზატორი განხორციელდა ანსამბლის ქორეოგრაფი და ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი, რომელიც უკვე მრავალი წელია სათავეში უდგას ცეკვით დაინტერესებული ქვემოქალაქელი ბავშვების აღზრდას, მან მრავალი თაობა დააფრთხილა და ფოლკლორის სიყვარულს აზიარა.

შემოქმედებითი საღამო მთელი სოფლის დღესასწაულად იქცა, აქ იყვნენ მოწვეული კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა გონიჭაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანუჩარ მერუაშვილი, კულტურის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, საქართველოს ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, ქართული ფოლკლორის კორიფეები რევაზ ჭანიშვილი, კახაბერ მარკოშვილი და თენგიზ ჯავახიშვილი... კულტურის სახლის სცენაზე დაუვიწყარი, ნამდვილი შემოქმედებითი საღამო – „ცეკვის ზეიმი“... ამ ღამეზე, შინაარსიანი ღონისძიების ორგანიზატორი განხორციელდა ანსამბლის ქორეოგრაფი და ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი, რომელიც უკვე მრავალი წელია სათავეში უდგას ცეკვით დაინტერესებული ქვემოქალაქელი ბავშვების აღზრდას, მან მრავალი თაობა დააფრთხილა და ფოლკლორის სიყვარულს აზიარა.

ვილი და თენგიზ ჯავახიშვილი... კულტურის სახლის სცენაზე დაუვიწყარი, ნამდვილი შემოქმედებითი საღამო – „ცეკვის ზეიმი“... ამ ღამეზე, შინაარსიანი ღონისძიების ორგანიზატორი განხორციელდა ანსამბლის ქორეოგრაფი და ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი, რომელიც უკვე მრავალი წელია სათავეში უდგას ცეკვით დაინტერესებული ქვემოქალაქელი ბავშვების აღზრდას, მან მრავალი თაობა დააფრთხილა და ფოლკლორის სიყვარულს აზიარა.



ქმედებითი სანახაობა ნახა მაყურებელმა, ერთმანეთს ენაცვლებოდა ლეგენდარული „ქართული“, „ოსური“, „სვანური“, „აჭარული“, „მოხურე“, „აფხაზური“ ცეკვები. ანსამბლის ნორჩი მოცეკვავეები ისეთი მონდობითა და განსაკუთრებული „არტიზმით“ ასრულებდნენ ამა თუ იმ ნომერს, რომ დარბაზში ისმოდა მქუხარე ოვაციები, გამამზენეველი შეძახილები, მოცეკვავეებს არ უშვებდნენ სცენიდან... აპლოდისმენტები დაიმსახურა მოცეკვავეთა ახალი თაობის გამოსვლამ, ნორჩმა შემსრულებლებმა დიდი

მონდობით შეასრულეს ქართული ხალხური ცეკვების „პოპური“ და სხვათა შორის, ეს განხორციელდა მათი დებიუტი, რომელიც ძალიან წარმატებული გამოდგა.

კონცერტზე მოსულ დამსწრე საზოგადოებასა და დედაქალაქიდან მოსულ სტუმრებს, მოცეკვავეებს სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა გონიჭაშვილმა, რომელმაც აღფრთოვანება, უდიდესი კმაყოფილება გამოხატა ასეთი საინტერესო, სანახაობრივი ღონისძიების ჩატარებისათვის და ანსამბლს მხარდაჭერა აღუთქვა.

შემოქმედებითი საღამოს სტუმრებს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი

თეა ხორბალაძე, რომელმაც დაწვრილებით ისაუბრა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სხვილთს“ აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობაზე, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მოცეკვავეებსა და მათ მშობლებს, ხელმძღვანელებს, აგრეთვე, დახმარებისა და ხელშეწყობისათვის კულტურის სახლის დირექტორს მარინე ყარანაშვილს.

თავმჯდომარემ რევაზ ჭანიშვილმა, – თითოეულ ცეკვაში, ყოველი ბავშვის მოძრაობაში ნათლად იგრძნობოდა მასწავლებლის უდიდესი შრომა, თავგამოდებული მისწრაფება, რაც მთავარია, პასუხისმგებლობა. ჰოდა, ამიტომ ქორეოგრაფიის კავშირის სახელით სიამოვნებით მსურს გაუწყოთ, რომ „სხვილთს“ მიენიჭა ბავშვთა სახალხო სანიმუშო ანსამ-

მათი ხელმძღვანელის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურეს ქალაქ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კახაბერ მარკოშვილმა და შიდა ქართლის ქორეოგრაფიული კავშირის თავმჯდომარემ თენგიზ ჯავახიშვილმა.

შემოქმედებითი საღამოს ბოლოს ანსამბლის ხელმძღვანელმა ნინო



– ვერ ავიწყრთ, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ქვემოქალაქელი ბავშვების მონდობამ, დამოკიდებულებამ და საერთო განწყობამ ქართული ცეკვისადმი, ზოგადად ფოლკლორისადმი, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ქორეოგრაფიის კავშირის

ბლის წოდება, ამასთანავე მაქვს ფრიად საგულისხმო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ანსამბლი მიწვეულია აჭარაში, ბათუმის ქორეოგრაფიულ ფესტივალზე, რომელშიც ქართველ მოცეკვავეებთან ერთად მიწვეულია კიდევ შვიდი ქვეყანა. ანსამბლ „სხვილთს“ მოცეკვავეებისა და

პავლიაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, მოცეკვავეებსა და მათ მშობლებს მხარში დგომისა და დახმარებისათვის, გულისხმიერებისათვის. კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

„აქ რომ სალამურს უყრავდა ბიჭი“...

სახელგანთქმული მუსიკოსი და ვირტუოზი მესალამურე, ჩინებული მელექსე, კავთისხეველი ომარ კელაპტრიშვილი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გადამრჩენელ, ერთგულ პატრონად მოეგვინა დავიწყების პირასმყოფ ხალხურ საკრავებს... სწორედ მისი თაოსნობითა და უდიდესი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა გასაოცარი ქართული ფოლკლორის, ქართული სალამურის ფენომენის აღიარება უცხოეთშიც...



აზე, მის შემოქმედებასა და დაწვრილებით მოუყვამოლაწილობაზე ისაუბრეს ამას წინათ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /დირექტორი ლელა პეტრიაშვილი/ ბავშვებმა. საქმე ის გახლავთ, რომ მოსწავლეთა სახლის ინიციატივით ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სახლ-მუზეუმში ჩატარდა გასვლითი კულტურული ღონისძიება. სახლ-მუზეუმის კოლექტივმა სისარულით უმასპინძლა მოსულ სტუმრებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, პედაგოგებს...

მა ციმი კელაპტრიშვილმა მოსულ სტუმრებს დათვალაღიერებინა მუზეუმი, მოსწავლეებს



წავლებმა წარმოადგინეს ლიტერატურული ღონისძიება სახელწოდებით „დავალ გზებზე ემაგ შენი სალამურით“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ლუკა და მარიამ მერუაშვილები, მიხეილ და სალომე სამხარაძეები, ქეთი ჭაღისური, მარიამ კაციაშვილი, ანი ბაისონაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, მაია თაბუაშვილი, ლამა თინიკაშვილი, ლუკა სპანდერაშვილი... შეკრებილებმა პატივითა და განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენეს წარსულში ცნობილი ლოტბარი, ხალხური სიმ-

